განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 4 ივნისი. 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11 ივნისი, 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
განათლების საფეხური	საბაკალავრო (უმაღლესი პირველი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ეკონომიკაში, 0701
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ კაკულია - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია ბარამიძე - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა საქართველოს უნივერსიტეტში 2007 წლიდან. არსებობს (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 1 ივლისის № 138 გადაწყვეტილება). პროგრამას აკრედიტაცია 5 წლის ვადით მიენიჭა.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 240 ECTS; ეს გულისხმობს: პროგრამის ძირითად საგნებს - 162 ECTS და დანარჩენ საგნებს - 78 ECTS ან კიდევ ძირითად საგნებს - 162 ECTS, დანარჩენ საგნებს - 66 ECTS და თავისუფალ კრედიტებს - 12 ECTS.

პროგრამა ორიენტირებულია ბაკალავრისათვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე. სასწავლო გეგმა გათვლილია 4 აკადემიურ წელზე. ერთი სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.) ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება).

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის ECTS სისტემის შესაბამისად.

პროგრამა მოქმედია, ჰყავს სტუდენტები, კურსდამთავრებულები, რომელთა ნაწილი სწავლას აგრძელებს განათლების შემდგომ საფეხურზე, ხოლო ნაწილი დასაქმებულია პროფილის მიხედვით. პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28.05.2019 N435 ბრძანების თანახმად მიმდინარე წლის 4 ივნისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს უნივერსტეტში ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა: საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსის სილაბუსები, ადამიანური რესურსის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.ug.edu.ge განთავსებული ინფორმაცია.

2019 წლის 31 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი შეხვედრა, 4 ივნისს კი - ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ვიზიტის დროს, რომელიც წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით წარიმართა, ინტერვიუების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე გადამოწმდა დოკუმენტებით ადრე წარმოდგენილ ინფორმაცია. ვიზიტის დროს დამატებით მოთხოვნილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია: შესაბამისი ოქმები, სილაბუსების ბოლო ვარიანტები, სტაჟირების ფორმები, Startup Factory-ის აქტივობების ანგარიში, დამსაქმებლის კითხვარი, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები, პროგრამის სამიზნე ნიშნულები, სწავლის

შედეგების რუკა და შრომის ბაზრის კვლევის კითხვარი, ინფორმაცია სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ, აკადემიური მოსწრების ანალიზი. ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით:

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის ორივე კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 2.1, 2.2, 2.3 და 2.5 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან, ხოლო 2.4 და 2.6 კომპონენტები - როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 3.1 კომპონენტი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო 4.2, 4.3 და 4.4 კომპონენტები - როგორც შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტები შეფასდა როგორც შესაბამისი მოთხოვნებთან, ხოლო 5.3 კომპონენტი როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - მიზანშეწონილია სტუდენტური პრაქტიკის პროგრამის სავალდებულო ნაწილში გადმოტანა;
  - მიზანშეწონილია გადაიხედოს სასწავლო კურსების შეფასება/შეფასების კრიტერიუმები. ეს უკანასკნელი უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო კურსის შინაარსიდან და შედეგებიდან და მიმართული უნდა იყოს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების უზრუნველმყოფელ სამუშაოებზე;
  - შეფასების სისტემის უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიწეროს ქვიზური ტიპის დავალებების სახეობა და შეფასების კრიტერიუმები;
  - მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ძირითადი მაპროფილებელი დისციპლინები აკადემიურმა პერსონალმა და არა მოწვეულმა ლექტორებმა წარმართოს, აქედან გამომდინარე საჭიროდ ვთვლით გაიზარდოს აკადემიური პერსონალი;
  - პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები უნდა ექვემდებარებოდეს პრინციპს - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე.“ მიზანშეწონილია ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე გაიწეროს კონკრეტული სამოქმედო გეგმის პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამის ეფექტიანი მონიტორინგი შესაძლებელია მაშინ, როდესაც არსებობს წინასწარ გაწერილი გეგმა და სამიზნე ნიშნულები. ეს უფრო სტრუქტურიზებულს გახდის პროგრამის მონიტორინგს, მის პერიოდულ შემოწმებას და შემდგომ განვითარებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლების (საოფისე და სპეციალური პროგრამების) სწავლების შედეგები სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების და სასემინარო საათების გაზრდის საშუალებით;
- პროგრამის აღწერილობაში სასურველია მოცემული იყოს დასაქმების პოტენციური სფეროები;
- სასურველია გაკეთდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელთა სტატისტიკური ანალიზი;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესდეს ერთიანი ეროვნული გამოცდის ინგლისურ ენაში ჩაბარება;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესდეს ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება მათემატიკაში (არჩევითი საგანი);
- სასურველია ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავდეს საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასურველია სილაბუსებში მითითებული მოძველებული სახელმძღვანელოების ახალი გამოცემებით შეცვლა;
- სასურველია მონაცემთა დამუშავება და პერიოდული ანგარიშების გამოქვეყნება სტუდენტთა სტაჟირების შესახებ;
- შეფასების თითოეულ კომპონენტში (მაგალითად, შუალედური და დასკვნითი გამოცდა) სასურველია მიეთითოს შესასრულებელ დავალებათა ოდენობა;
- სასურველია სტუდენტს მიეწოდოს კონკრეტული განრიგი აკადემიურ პერსონალთან კონსულტირების შესაძლებლობის შესახებ;
- სასურველია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს მუხლების მიხედვით (მაგალითად, საბიბლიოთეკო ფონდის განახლება; კონფერენციებში მონაწილეობა; ინვენტარის შეძენა და სხვა) და მოხდეს მისი სისტემატური კონტროლი (ფაქტიური შედეგების შედარება დაგეგმილთან);
- სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში სამომავლოდ პროგრამის სრულყოფის უზრუნველსაყოფად;
- სასურველია სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენლების ჩართვა თვითშეფასების ჯგუფსა და პროგრამის განვითარების საბჭოში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები საკმაოდ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და გულისხმობს „ევროპული ღირებულებების მქონე მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას“. პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც უნდა ჰქონდეს პროგრამის კურსდამთავრებულს. ეს არის „პროფესიონალი ეკონომისტის სპეციალიზირებული ცოდნა.“ და მრავალმხრივი პრაქტიკული უნარები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოიყოფა რაოდენობრივი ანალიზის უნარები მათემატიკური ცოდნის საფუძველზე. ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული მართვის პრინციპების სიღრმისეული გაცნობიერება. პროგრამის საბოლოო მიზანს წარმოადგენს ისეთი პროფესიონალების აღზრდა, რომლებიც შეძლებენ თავისი წვლილის შეტანას როგორც ეკონომიკის ცალკეული დარგების და სექტორების, ისე მთლიანად საზოგადოების ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებაში. პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის და მისი ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. ისინი სავსებით რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამის მიზნები საჯაროდაა დეკლარირებული და ხელმისაწვდომია. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროგრამის მიზნების მიღწევის ინდიკატორად განისაზღვრა სამი საკვანძო კომპეტენცია: • ეკონომიკური პროცესების ანალიზისა და შეფასების უნარი მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე; • მულტიკულტურულ გარემოში სწორი კომუნიკაციისა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარი; • მაქსიმალური ეკონომიკური თუ სოციალური სარგებლის მიღებასთან დაკავშირებული კომპლექსური ამოცანების გადაჭრის უნარი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. აღნიშნული კომპეტენციების გამომუშავება ორიენტირებულია როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარების ინტერესებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა; • უსდ-ის მისია, მიზნები, სტრატეგია; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი; • საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი;

- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020) სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

რეაკრედიტაციაზე წარდგენილი საქართველოს უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზნები და შედეგები წარმოდგენილია განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აღწერის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობის თანახმად პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს. აღნიშნული რაოდენობა შედგება ძირითადი საგნების 162, არჩევითი 78 ან არჩევითი 68 და 12 თავისუფალი კრედიტისგან.

სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ემსახურება როგორც ზოგადი, ისე დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებას, გაზომვადი და რეალისტურია. უკანასკნელი აკრედიტაციის შემდგომ პერიოდში შეიცვალა სწავლის შედეგების კომპეტენციის რუკა, რომელიც 28 ელემენტისგან შედგება და გაწერილია საგნების მიხედვით. პროგრამაში ასევე მოცემულია სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების და აქტივობების ვრცელი სია.

კითხვაზე, თუ რამდენად რეალურია პროგრამით მოცემული კომპეტენციების 28 შედეგის გაზომვა, პროგრამის ადმინისტრაციამ და ხარისხის სამსახურმა დაადასტურეს, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევენ მათ არსებობას და ფლობენ შეფასების ინსტრუმენტებს.

სემესტრის დაწყებისას ლექტორი ინფორმირებულია, თუ რა პრინციპითუნდა იყოს შედგენილი საგამოცდო საკითხები, რათა აქცენტი გაკეთდეს პროგრამის ძირითადი საგნების სილაბუსებით გათვალისწინებული შედეგების გამომამუშავებელი თემატიკის მაღალი დატვირთვით მიწოდება/ათვისებაზე.

სემესტრის დასრულების შემდეგ პროგრამის შედეგების შეფასების კომისია პროგრამის ძირითადი საგნებიდან შემთხვევითი შერჩევით იღებს ფინალური გამოცდების 5-10%-ს სტუდენტების რაოდენობის მიხედვით (საგანში 100 საგამოცდო ნაშრომზე მეტის შემთხვევაში, პროცენტი განისაზღვრება 5%-ით), რომელთა საფუძველზეც კეთდება სტუდენტების მიერ საგამოცდო საკითხებში მიღებული შეფასებების ანალიზი. ყურადღება მახვილდება იმ საგამოცდო საკითხებზე, რომლებიც ამოწმებს საგნის იმ კომპენტეციას, რომელიც პროგრამის შედეგებშია ჩართული. ხდება სტატისტიკური მაჩვენებლების

გამოთვლა, თუ სტუდენტების რამდენი პროცენტი რა პროცენტულ შეფასებას იღებს (საკითხისთვის მინიჭებული მაქსიმალური ქულიდან) აღნიშნულ კონკრეტულ საკითხში.

პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებად მიჩნეულია ECTS-ის შეფასების (რანჟირების) სკალა, რომლის მიხედვით იმ სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება არის დადებითი, 10% იღებს A შეფასებას, მომდევნო 25% - B შეფასებას, შემდეგი 30% - C-ს, შემდეგი 25% - D-ს, და ბოლო 10% კი - E-ს.

თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები სრულად არ შეესაბამება შრომის ბაზრის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დონეს. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტის სპეციალობით სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდებაა, შრომის ბაზარი კონკურენტუნარიანი და რელევანტური კომპეტენციების მქონე კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტს განიცდის. დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ კურსდამთავრებულებს არასაკმარისი ცოდნა აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების და ტექნიკური მეცნიერებების სფეროში, სუსტად აქვთ განვითარებული მათემატიკური უნარები, ცუდად ფლობენ უცხო ენებს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემების თანახმად 64 კურსდამთავრებულიდან პროფილით მხოლოდ ერთია დასაქმებული - მკვლევარის თანამდებობაზე. ასევე, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უმაღლესი აკადემიური განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლა კურსდამთავრებულთა 52%-მა გააგრძელა, რაც სხვა სამაგისტრო პროგრამებზე ხორციელდება, ვინაიდან საქართველოს უნივერსიტეტში ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება არ ხდება.

პროგრამის ადმინისტრაცია აცნობიერებს რა თანამედროვე გამოწვევებს, სისტემატურ ღონისძიებებს ატარებს საბაკალავრო პროგრამის დახვეწის და ოპტიმიზაციის მიმართულებით: შეაქვს ცვლილებები პროგრამაში, აახლებს სასწავლო ლიტერატურას, ორიენტირებულია ხარისხზე სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობის რეგულირების გზით. პროგრამის შემუშავების და შედეგების მიღწევის პროცესში აქტიურად არის ჩართული ძირითადი და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები და დამსაქმებლები.

ვიზიტის დროს გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა სწავლის შედეგების გარშემო: სტუდენტები აქცენტს აკეთებენ პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე, მაშინ როცა აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები აღნიშნავენ მიწოდებული ცოდნის აღქმის დაბალ ხარისხს.

ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე სტუდენტები გაცნობილი არიან სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. პერიოდულად კეთდება სწავლის შედეგების შეფასება და ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება/ანალიზი პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამის ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტი (პროგრამის ბოლო განახლების ოქმი N4/19, თარიღი - 28.02.2019)
- სწავლის შედეგების რუკა - კომპეტენციების მატრიცა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულები
- პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმი
- პროგრამის შეფასების ანგარიში - იანვარი 2019
- სილაბუსები
- აკადემიური მოსწრების ანალიზი - 2107-18 სასწავლო წლისათვის
- გაცვლითი პროგრამების ანგარიში
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება - ოქმები N35/18; N04/19
- შრომის ბაზრის კვლევები - ანგარიში

• დამსაქმებელთა კითხვარი • კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემები - ცხრილი • ინტერვიუების შედეგები • Startup-factory-ს აქტივობების ანგარიში
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლების (საოფისე და სპეციალური პროგრამების) სწავლების შედეგები სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების და სასემინარო საათების გაზრდის საშუალებით; • პროგრამის აღწერილობაში სასურველია მოცემული იყოს დასაქმების პოტენციური სფეროები; • სასურველია გაკეთდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების და უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელთა სტატისტიკური ანალიზი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საქართველოს უნივერსიტეტში გამჭვირვალეა და ძირითადად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე.

აბიტურიენტები აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში, უცხო ენასა და ერთ არჩევით დისციპლინაში (მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია და სხვა). აქ აღსანიშნავია ორი გარემოება:

პირველი, აბიტურიენტები, რომლების ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად არ აბარებენ ინგლისურ ენას, შემდგომში საკმაოდ სერიოზული პრობლემის წინაშე შეიძლება დადგნენ, რამდენადაც უჭირთ სილაბუსებში მითითებული ინგლისურენოვანი ძირითადი/დამხმარე ლიტერატურით სარგებლობა, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კი ვერ ასწრებენ/ახერხებენ ინგლისური ენის სათანადო დონეზე დაუფლებას;

მეორე, აბიტურიენტებს ეროვნულ გამოცდებში მეოთხე საგნის საკმაოდ დიდი არჩევანი აქვთ, რაც დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა პროგრამის მათემატიზაციის მაღალი დონის პირობებში, მას ვინც მათემატიკას არ აბარებს (სავარაუდოდ, შესაბამისი უნარების ნაკლებობის გამო), შემდგომში პრობლემები ექმნება მათემატიკური საგნების ათვისების და მათემატიკურ ცოდნასთან დაკავშირებული საგნების შესწავლის დროს.

ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე. დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს კონსულტაცია პროგრამების კატალოგში მითითებულ საკონტაქტო პირისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შეფასების ანგარიში (შემუშავებული დაინტერესებულ მხარეთა კვლევის შედეგების საფუძველზე);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესდეს ერთიანი ეროვნული გამოცდის ინგლისურ ენაში ჩაბარება;
- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაწესდეს ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება მათემატიკაში (არჩევითი საგანი).

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი

ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. იგი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, რომელიც გაწერილია საქართველოს უნივერსიტეტის „სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულებაში".

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. იგი მოიცავს 240 კრედიტს: პროგრამის ძირითადი საგნების გავლისთვის გათვალისწინებულია 162 ECTS, საბაკალავრო პროგრამის დანარჩენი საგნებიდან კი სტუდენტმა უნდა აიღოს 78 ECTS ან კიდევ, პროგრამის ძირითადი საგნების გავლისათვის გათვალისწინებულია კვლავ 162 ECTS, დანარჩენი საგნებიდან სტუდენტმა უნდა აიღოს 66 ECTS, ხოლო თავისუფალი კრედიტების სახით გამოყოფილია 12 ECTS. უკანასკნელის ფარგლებში პროგრამა უზრუნველყოფს არჩევითობას.

სწავლების საწყის სემესტრებში, გათვალისწინებულია იმ კურსების შესწავლა, რომლებიც ემსახურება ზოგადი დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებას. ძირითადი კურსების შინაარსობრივი და ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოფს ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის ჩაღრმავებულ შესწავლას, რაც კურსდამთავრებულს გამოუმუშავებს ეკონომისტის კვალიფიკაციის შესაბამის და დასაქმების ბაზარზე მოთხოვნად კომპეტენციებს.

პროგრამა მოიცავს მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ სასწავლო კურსებს. მიკროეკონომიკის მოდულში ერთიანდება სამი სასწავლო კურსი: მიკროეკონომიკის პრონციპები, მიკროეკონომიკა I, II (საშუალო დონე). მაკროეკონომიკის მოდული ასევე მოიცავს სამ სასწავლო კურსს: მაკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკა I, II (საშუალო დონე). საერთაშორისო ეკონომიკა შედგება ორი სასწავლო კურსისგან: საერთაშორისო ვაჭრობის თეორია და საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა. ეკონომიკური პოლიტიკის მოდული შედგება რამდენიმე სასწავლო კურსისგან, ესენია: ფისკალური თეორია და პოლიტიკა, პოლიტიკური ეკონომია და საზოგადოებრივი არჩევანი და მონეტარული პოლიტიკა. სტუდენტები შეისწავლიან აგრეთვე ძირითად ეკონომიკურ დოქტრინებს. საერთო ჯამში, მათემატიკის, ინგლისური ენისა და ბიზნესის მართვის კურსებთან ერთად, სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები.

პროგრამა შედგენილია ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რაც ხელს უწყობს მის კონკურენტულობას.

პროგრამის თითოეულ კომპონენტი ითვალისწინებს როგორც დაშვების მკაფიოდ განსაზღვრულ წინაპირობებს, ისე მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამების სილაბუსები;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შეფასების ანგარიში (შემუშავებული დაინტერესებულ მხარეთა კვლევის შედეგების საფუძველზე);
- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020) სამოქმედო გეგმა;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;

- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავდეს საქართველოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიხედვით მთლიანი 240 ECTS-დან 162 ECTS მოდის 27 სავალდებულო კურსზე, თითოეული 6 კრედიტით, ესენია: ბიზნესი და ეკონომიკა; მიკროეკონომიკის პრინციპები; ინგლისური ენა IV (B1/2); საოფისე კომპიუტერული პროგრამები; მათემატიკა ეკონომიკისათვის I; მაკროეკონომიკის პრინციპები; ინგლისური ენა V (B2/1); ცივილიზაციები და კაცობრიობის განვითარება; მათემატიკა ეკონომიკისათვის II; მენეჯმენტის საფუძვლები; სტატისტიკა ეკონომიკისთვის I; მაკროეკონომიკა I (საშუალო დონე); მიკროეკონომიკა I (საშუალო დონე); ინგლისური ენა VI (B2/2); მათემატიკა ეკონომიკისათვის III; სტატისტიკა ეკონომიკისთვის II; მაკროეკონომიკა II (საშუალო დონე); მიკროეკონომიკა II (საშუალო დონე); მათემატიკა ეკონომიკისათვის IV; ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორია; სახელმწიფოს ეკონომიკა I (ფისკალური თეორია და პოლიტიკა); ეკონომეტრიკა I; საერთაშორისო ეკონომიკა I (საერთაშორისო ვაჭრობის თეორია); მონეტარული პოლიტიკა; სახელმწიფოს ეკონომიკა II (პოლიტიკური ეკონომიკა და საზოგადოებრივი არჩევანი); საერთაშორისო ეკონომიკა II (საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა); ეკონომიკური კვლევის მეთოდები.

ძირითადი დისციპლინების შინაარსობრივი და ლოგიკური თანმიმდევრობა უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შესაბამის და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული კომპეტენციების გამომუშავებას. პროგრამა შედგენისას გათვალისწინებულია სტუდენტების დიფერენციაცია ენობრივი და მათემატიკური კომპეტენციების კუთხით.

წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკის საფუძველზე თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ასევე ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია მოცემული კურსის სწავლის შედეგებთან.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალის გაცნობამ ცხადყო, რომ საგნები ძირითადად უახლესი ლიტერატურით ისწავლება, თუმცა მცირე შემთხვევებში

ლიტერატურა მოძველებულია, მაგალითად: კურსის „მაკროეკონომიკა I (საშუალო დონე)“ სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა - მაკროეკონომიკა. მე-5 გამ. ბლანშარი, ო. 2010; „მაკროეკონომიკის პრინციპები“- ეკონომიკის პრინციპები. მენქიუ,გ. 2008; „ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორია“- ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. სილაგაძე, ა. 2001; „სტატისტიკა ეკონომიკისთვის 1“- ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა ეკონომისტებისათვის. ლაზრიევა, ნ. და სხვ. 2000. სასურველია ამ წიგნების ბოლოდროინდელი გამოცემებით შეცვლა.

თეორიულ დისციპლინებთან ერთად სასწავლო პროგრამაში ჩართულია 300 საათიანი არჩევითი კურსი „სტაჟირება ეკონომიკაში“ 12 კრედიტის მოცულობით. კურსზე დაშვების წინაპირობა მოითხოვს სტუდენტის მიერ მინიმუმ 120 კრედიტის დაგროვებას. რამდენიმე სტუდენტმა გაიარა სტაჟირება ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაში და ეკონომიკის სამინისტროში, ნაწილმა ბიზნესში. სასურველია სტაჟირებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი მონაცემების ერთიან ბაზაში თავმოყრა და სისტემატიზება იმის გასაანალიზებლად თუ რამდენად მიეცა სტუდენტს შესაძლებლობა შეეძინა ეკონომისტის პროფესიის რელევანტური პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება და უნარ-ჩვევები, ასევე, პრაქტიკაში გამოეყენებინა სწავლის პერიოდში შეძენილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების - ოქმი N04/19
- სწავლის შედეგების რუკა
- სილაბუსები, მათ შორის სტაჟირება ეკონომიკაში
- საბიბლიოთეკო რესურსი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია სილაბუსებში მითითებული მოძველებული სახელმძღვანელოების ახალი გამოცემებით შეცვლა;
- სასურველია მონაცემთა დამუშავება და პერიოდული ანგარიშების გამოქვეყნება სტუდენტთა სტაჟირების შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  - ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებას. რეგულარულად იმართება სხვადასხვა ექსტრაკურიკულური (პროგრამის გარეშე) აქტივობები პარტნიორებთან ერთად.

პარტნიორთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია არასამთავრობო ორგანიზაცია ახალი ეკონომიკური სკოლა - აესკო, რომელთან ერთადაც ეწყობა სემინარები და კონფერენციები პროგრამის სტუდენტების მონაწილეობით.

საერთაშორისო დონეზე პროგრამა აესკოსთან ერთად თანამშრომლობს ნაუმანის ფონდთან (გერმანია), ქეითოს და მიზესის ინსტიტუტთან, ჰაიეკის ინსტიტუტთან (ავსტრია), ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტთან (საფრანგეთი) და სხვ. მართალია ეს დაწესებულებათა უმრავლესობა მხოლოდ ერთ - ლიბერთარიანულ ეკონომიკურ დოქტრინას აღიარებს, თუმცა ეკონომიკური ცოდნის გაღრმავების მიმართულებით აღნიშნული თანამშრომლობა მაინც სასარგებლოა.

კერძო სექტორიდან პროგრამა სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობს თი-ბი-სი ჯგუფთან, საქართველოს ბანკთან, ამერიკის სავაჭრო პალატასთან, საქართველოს ბიზნესის ფედერაციასთან, კომპანიებთან: კოკა კოლა, კასტელი, ბორჯომი, ავერსი, გურიელი, ვანო და კომპანია, პანორამა და სხვ. მიუხედავად ამისა, პროგრამის ადმინისტრაცია ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევს სტუდენტურ პრაქტიკას როგორც ასეთს, რომელიც არჩევით კომპონენტს განეკუთვნება და არ არის სავალდებულო. არადა, სტუდენტური პრაქტიკა/სტაჟირება შემდგომში დასაქმების ხელშეწყობის აპრობირებული ფორმაა, მით უმეტეს, რომ საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფილით (ეკონომისტად) დასაქმების პრობლემა.

პროგრამა, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოს უნივერსიტეტი, აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტთა შემოქმედებით მისწრაფებებს. ამ მხრივ ერთობ საინტერესოა უნივერსიტეტის სტარტაფების ცენტრი და სტუდენტური კლუბები, სადაც სტუდენტები ინტერესების მიხედვით ერთიანდებიან. სტუდენტური კლუბების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ იმსჯელონ გლობალურ თემებზე, გაიღრმავონ ცოდნა და რაც მთავარია - დაამკვიდრონ სწორი ღირებულებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამების სილაბუსები;
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შეფასების ანგარიში (შემუშავებული დაინტერესებულ მხარეთა კვლევის შედეგების საფუძველზე);
- საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020) სამოქმედო გეგმა;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სტუდენტური პრაქტიკის/სტაჟირების პროგრამის სავალდებულო ნაწილში გადმოტანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისა და სწავლების პროცესის მაღალ დონეზე წარმართვისათვის, უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს. ამ მიმართულებით საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ პროექტში Sustainable learner-centred Teaching - Advanced Recourse for Georgia and China (STAR), რომლის მიზანიცაა პროფესორ-მასწავლებლებისთვის ინოვაციური მიღწევების გაცნობა პედაგოგიკაში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შეიქმნა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო.

სწავლა-სწავლების მეთოდები სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, ეს მეთოდებია: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურსა და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს;

აღსანიშნავია, როგორც სტუდენტებთან პირისპირი გასაუბრებით, ისე მათი კმაყოფილების კვლევის შედეგებით დასტურდება სტუდენტთა დადებითი დამოკიდებულება ლექტორის მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების მიმართ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო;
- https://star.ped.muni.cz/;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი; 2005.14.02), ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 3 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების სისტემით.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასებების ფორმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. შუალედური შეფასებები ფასდება 60 ქულით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - 40 ქულით. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა. სასწავლო კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის მიღების შემთხვევაში. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. ამასთან, სილაბუსებში არ არის ასახული დასკვნით გამოცდაზე დაშვების და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ეს უკანასკნელი განსაზღვრულია უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებით.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა - სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თავიდანვე გაეცნონ სილაბუსებს და კურსის დაწყებისთანავე იცოდნენ შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე თითოეულ სტუდენტს საშუალება აქვს თავისი მიმდინარე შეფასებებს ელექტრონული მართვის სისტემიდან ადევნოს თვალი და დროული რეაგირება ჰქონდეს მიღწეულ შედეგებზე. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით არსებობს ლექტორსა და სტუდენტს შორის იოლი კომუნიკაციის შესაძლებლობა. სტუდენტთა შეფასებისას ლექტორი ვალდებულია მისცეს სტუდენტს უკუკავშირი დადებითი და უარყოფითი მხარეების, გაუმჯობესების გზების შესახებ. ლექტორი ვალდებულია გააცნოს სტუდენტებს ნაშრომთან დაკავშირებული შენიშვნები და მისცეს უკუკავშირი. ეს უკანასკნელი დასტურდება სტუდენტთა გამოკითხვებიდანაც. კერძოდ, სტუდენტთა დაახლოებით 70% იღებს უკუკავშირს ლექტორისგან შეფასების შედეგების განხილვის გზით.

სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო კურსების უმეტეს ნაწილს ერთი და იმავე ტიპის შეფასების კრიტერიუმები აქვს. კერძოდ, შუალედური შეფასებისთვის ძირითადად გამოიყენება ქვიზი და რეფერატული ნაშრომის პრეზენტაცია. ამავდროულად ქვიზის შემთხვევაში არ არის გაწერილი თუ რა ტიპის დავალებების შემცველია იგი. რეფერატული ნაშრომის პრეზენტაციის შემთხვევაში არ ჩანს ინდივიდუალურად სრულდება იგი, თუ ჯგუფურად. შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმებში არ ჩანს შესასრულებელ დავალაბათა ოდენობა თითოეულ კომპონენტში.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს ისინი ზოგადად დადებითად აფასებდნენ მოქმედ შეფასების სისტემასა და მის შემადგენელ კრიტერიუმებს, თუმცა, მათ ასევე მიუთითეს შუალედური შეფასებების გამრავალფეროვნების საჭიროებაზე, მაგალითად, სასურველი იქნებოდა პარალელურად Case study-ს ტიპის დავალებების შესრულება, კონკრეტული ეკონომიკური ამოცანების ამოხსნა და ა.შ. ამგავარი ტიპის დავალებები მიმართულია თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების დემონსტრირებისკენ მთელი სასწავლო კურსის მიმდინარეობისას. შეფასების სისტემის გამრავალფეროვნების მიზნით მიზანშეწონილია გადაიხედოს შემდეგი სასწავლო კურსების შეფასება/შეფასების კრიტერიუმები: მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის პრინციპები, მიკროეკონომიკა I-II, მაკროეკონომიკა I-II, საერთაშორისო ეკონომიკა II, მენეჯმენტის საფუძვლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;

• სილაბუსები; • საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება; • მართვის ელექტრონული სისტემა - http://my.ug.edu.ge/login.php, http://online.ug.edu.ge/login.php; • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; • ინტერვიუ სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია გადაიხედოს სასწავლო კურსების შეფასება/შეფასების კრიტერიუმები. ეს უკანასკნელი უნდა გამომდინარეობდეს სასწავლო კურსის შინაარსიდან და შედეგებიდან და მიმართული უნდა იყოს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების უზრუნველმყოფელ სამუშაოებზე; • შეფასების სისტემის უფრო მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიწეროს ქვიზური ტიპის დავალებების სახეობა და შეფასების კრიტერიუმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • შეფასების თითოეულ კომპონენტში (მაგალითად, შუალედური და დასკვნითი გამოცდა) სასურველია მიეთითოს შესასრულებელ დავალებათა ოდენობა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტს სწავლებასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაციით და პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მართვაზე. სტუდენტებს შეუძლიათ კონსულტაციის გავლა, ასევე „ჩემი UG“-ის საშუალებით ნებისმიერი კითხვით მიმართვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან. სკოლის ასისტენტები, დირექტორი და შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელები სტუდენტებს უწევენ კონსულტაციას პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით. სტუდენტთა გამოკითხვით დასტურდება, რომ ისინი სასწავლო კურსის ფარგლებში კონსულტანციებისთვის ხშირად (დაახლოებით 65%) მიმართავენ აკადემიურ პერსონალს, ამ უკანასკნელებთან შეხვედრისას დადგინდა, რომ კონსულტაციები ტარდება საჭიროებებიდან/მომართვებიდან გამომდინარე და რომ არ არსებობს წინასწარ გაწერილი განრიგი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჩართული იყვნენ სტუდენტურ ცხოვრებაში, გაწევრიანდნენ ან თავად ჩამოაყალიბონ სტუდენტური კლუბები, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტში, ღონისძიებასა და კონფერენციაში, რომელთა შესახებაც ინფორმაციას იღებენ „ჩემი UG“-ის შეტყობინებების ან/და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საშუალებით. ასევე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. მაგალითად, 2015 სასწავლო წელს გაცვლით პროგრმაში მონაწილეობდა ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის 2 სტუდენტი, 2016 სასწავლო წელს - 4 სტუდენტი, 2017 სასწავლო წელს - 1 სტუდენტი. საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლაზე სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის სამსახური ზრუნავს. სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, გამოიყენება ისეთი აქტივობები როგორებიცაა ტრენინგები CV-ს, სამოტივაციო წერილის შედგენაზე, სარეკომენდაციო წერილების მოპოვებაზე, ინტერვიუს დეტალებზე, ვაკანსიების მოძიების ფორმებზე და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ელექტრონული პლატფორმა „ჩემი UG“; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრის დებულება http://old.ug.edu.ge/public/pdf/documents/debulebebi/student_clubs.pdf; • დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის ვებ გვერდი (https://ug.edu.ge/ge/dasaqmebis-khelshe-koba); • სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება http://old.ug.edu.ge/public/pdf/documents/debulebebi/saswav_samec_debuleba.pdf; • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები; • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია სტუდენტს მიეწოდოს კონკრეტული განრიგი აკადემიურ პერსონალთან კონსულტირების შესაძლებლობის შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამას წარმართავს სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება. ამას ადასტურებს ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამის პროფესორ-მასწავლებლების პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები) და მათი მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში და ტრენინგებში.

თანაფარდობა პროგრამის აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს შორის ადეკვატურია: აკადემიურ პერსონალი 29 თანამშრომელს მოიცავს, აქედან 28 აფილირებულია, რომელთაგანაც 8 პროფესორია, 21 - ასოცირებული პროფესორი, 1 - მეცნიერ-თანამშრომელი. მოწვეული სპეციალისტების რაოდენონა 47-ს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ძირითად ეკონომიკურ დისციპლინებს მეტწილად მოწვეული პერსონალი უძღვება. აკადემიურ პერსონალში მხოლოდ ერთია ეკონომიკის პროფესორი და ერთიც ასოცირებული პროფესორი, რამაც მომავალში შეიძლება საფრთხე შეუქმნას პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა ძირითადად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობისა და სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამის ხელმძღვანელებს - გიორგი ლომიძეს და ეკა გეგეშიძეს აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კიცებულებები/ინდიკატორები

- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამების სილაბუსები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმები (CV);
- ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შეფასების ანგარიში (შემუშავებული დაინტერესებულ მხარეთა კვლევის შედეგების საფუძველზე);
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობები;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, რომ პროგრამის ძირითადი მაპროფილებელი დისციპლინები აკადემიურმა პერსონალმა და არა მოწვეულმა ლექტორებმა წარმართოს, აქედან გამომდინარე საჭიროდ ვთვლით გაიზარდოს აკადემიური პერსონალი მინიმუმ ერთი ეკონომიკის პროფესორითა და 3 ასოციარებული პროფესორით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია და პროფესიული განვითარება დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში მოცემული სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელით ბოლო 5 წლის განმავლობაში და მათი ბიოგრაფიებით (CV). პერსონალის შეფასება ყოველსემესტრულად ხდება ადმინისტრაციისა და სტუდენტების მიერ. სტუდენტები ელექტრონულად ავსებენ პერსონალის და პროგრამის კომპონენტის შეფასების კითხვარს. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ინახება სკოლის დირექტორთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან. განზოგადებულ შედეგებს, სკოლის დირექტორი განიხილავს სკოლის საბჭოს სხდომაზე, პერსონალის კონფიდენციალურობის დაცვით. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესეულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს აკადემიური პერსონალის განვითარებისა და სამეცნიერო პროექტების მართვის სამსახურს და სამეცნიერო ჟურნალის „კავკასიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჟურნალის“ (“Caucasus Journal of Social Sciences”) რედაქციას. 2019 წლის მარტიდან დაინერგა "სამეცნიერო ოთხშაბათები", რომლის ფარგლებში უნივერსიტეტის გამოცდილი მეცნიერები აუდიტორიას (ახალგაზრდა მკვლევარებს, დოქტორანტებს, ლექტორებს, ა.შ.) აცნობენ საკუთარ ბოლო სამეცნიერო პუბლიკაციებს, უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი პროექტებს და განიხილავენ სხვადასხვა სახის სამეცნიერო მიდგომასა და მეთოდოლოგიას. აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების განვითარების მიმართულებით უნივერსიტეტში მოქმედებს სხვადასხვა გაცვლითი პროგრამები. სწავლების მეთოდების განვითარების მიმართულებით აკადემიური პერსონალი ჩართულია Erasmus+ პროექტში Sustainable learner-centred Teaching - Advanced Recourse for Georgia and China (STAR), რომლის მიზანია პროფესორ-მასწავლებლებისთვის ინოვაციური სასწავლო მიღწევების გაცნობა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა გაიარეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების კურსი, რომელიც ორგანიზებული იყო პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ. პერსონალის ხელშეწყობა დასტურდება სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობაში წარმატების აღიარების ფინანსური ფორმითაც (პრემიალური სისტემა). ასევე, უნივერსიტეტი ანაზღაურებს მნიშვნელოვან სამეცნიერო კონფერენციებში აკადემიური მონაწილეების ხარჯებს. 2018-2019 წლის გაზაფხულის სემესტრში სკოლის ბიუჯეტიდან

გაწეულ ხარჯებში მოცემულია სამეცნიერო აქტივობის 1 500 და მივლინების ხარჯები 6 700 ლარის ოდენობით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფილია პირადი სამუშაო სივრცით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება • საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლის შესრულებული სამუშაოს შეფასების სახელმძღვანელო • აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ნუსხა • პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) - თვითშეფასების დოკუმენტი • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი • პერსონალის საქმიანობის შეფასების და კმაყოფილების კვლევის ანგარიში • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და თანდართული დოკუმენტები • პრემიის გაცემის პირობები • ბიუჯეტის ხარჯები • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საქართველოს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, მის კუთვნილ შენობაში. შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით, ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. შენობაში დაცულია წესრიგი და სისუფთავე. საბაკალავრო პროგრამაზე ლექციები მიმდინარეობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

სასწავლო პროგრამა, სილაბუსებითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტებით განთავსებულია ვებ გვერდზე, რომლის წვდომას სტუდენტები „ჩემი UG“-ს საშუალებით ახდენენ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი თანამედროვე ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ლიტერატურა ეფუძნება დარგის აქტუალურ მიღწევებს და სამეცნიერო-კვლევის შედეგებს. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (Heinonline, Jstore, Scopus, Web of Science). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო გარემო. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს Startup factory, რომელიც უზრუნველყოფს იდეების წახალისებას სოციალური მეწარმეობისა და ბიზნესის კუთხით. უნივერსიტეტში გამოიყენება სამეთვალყურეო კამერები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შენობა-ნაგებობები, ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, საბიბლიოთეკო რესურსი • საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა • ვიზიტის დროს მატერიალური რესურსების დათვალიერება • სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და პერსონალის/სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას. ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებულია პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლება; ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის უახლესი ლიტერატურით შევსება პროგრამის სილაბუსების მიხედვით; საერთაშორისო ელექტრონული რესურსების წვდომის უზრუნველყოფა; პერსონალის შრომის ანაზღაურების და სამივლინებო ხარჯები; კვლევითი საქმიანობის და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობა. უნივერსიტეტის ბიუჯეტში პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია.

პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის და სკოლის საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით, რომლებიც წყაროების სახით ასახულია პროგრამის ფინანსურ გეგმაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (2014-2020 წწ) სამოქმედო გეგმა • ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური გეგმა • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს მუხლების მიხედვით (მაგალითად, საბიბლიოთეკო ფონდის განახლება; კონფერენციებში მონაწილეობა; ინვენტარის შეძენა და სხვა) და მოხდეს მისი სისტემატური კონტროლი (ფაქტიური შედეგების შედარება დაგეგმილთან).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესისა და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით ხორციელდება პროგრამების პერიოდული შეფასება.

შეფასების ერთ-ერთი პირდაპირი ფორმაა სასწავლო კურსის კურატორების დასკვნები. ეს უკანასკნელი გულისხმობს სასწავლო კურსის კურატორის ანგარიშს სასწავლო მასალის ათვისების, დატვირთვის, კურსის სირთულის, სწავლების მეთოდებისა და სტუდენტების წინაშე სწავლის პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების შესახებ. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მათი რეკომენდაციების საფუძველზე ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. ინტერვიუებით ასევე დასტურდება, რომ გამოკითხვების შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ საკითხებზე პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობს როგორც უნივერისტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურთან, ისე სხვა შესაბამის სამსახურებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • პირადაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია; • ინტერვიუს შედეგები; • სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს უნივერსიტეტში პროგრამების არაპირდაპირი ხარისხის შეფასება გულისხმობს პროგრამის კვლევას მასში ჩართული და დაინტერესებული მხარეების პერსპექტივებიდან. კერძოდ, არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება შემდეგი მეთოდებით: კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მონაცემების მოძიება და ანალიზი, ასევე, კურსდამთავრებულთა შეფასებების კვლევა თვისობრივი და რაოდენობრივი ტექნიკების გამოყენებით, დამსაქმებლების კვლევა თვისობრივი და რაოდენობრივი ტექნიკების გამოყენებით. ამ უკანასკნელის ფარგლებში ხდება იმ უნარ-ჩვენების და შესაძლებლობების განსაზღვრა, რაც სჭირდება შრომის ბაზარს და რაც დასაქმების აუცილებელი პირობაა. აღნიშნული კვლევა ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. თვისობრივი და რაოდენობრივი ტექნიკების გამოყენებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევის ფარგლებში ხორციელდება პროგრამის/სასწავლო კურსების შედეგებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიერ აღქმული გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, როგორც სწავლების მეთოდების, ლიტერატურის, ისე შესაბამისი კომპეტენციების მუდმივი განახლების მიზნით. აღნიშნული კვლევა ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ. წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მეტწილად გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროგრამაში. პროგრამას დაემატა 12 თავისუფალი კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატა სასწავლო კურსი „საერთაშორისო ფინანსები“. შეხვედრების დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა

აღნიშნა, რომ მათ აქვთ მეტი თავისუფლება სილაბუსების შედგენის პროცესში, შეფასების საბოლოო ქულაში ცალკეული კომპონენტის შეფასების წილის განსაზღვრისას. მიუხედავად ამისა, ძირითად სასწავლო კურსებში დასკვნით გამოცდას ისევ საბოლოო შეფასების ფიქსირებული პროცენტი აქვს მინიჭებული. ამ ეტაპზე პროგრამას არ ჰყავს არც ადგილობრივი და არც საერთაშორისო შემფასებელი. თუმცა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულების სხვა პროგრამაზე უკვე არსებობს ან იგეგმება სამომავლოდ საერთაშორისო შემფასებლის პრაქტიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • პირადაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა პროგრამის შეფასების პროცესში სამომავლოდ პროგრამის სრულყოფის უზრუნველსაყოფად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე ხორციელდება პერიოდული მონიტორინგი, რომელიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს ყველა ჩართული დაინტერესებული მხარე, ეს უზრუნველყოფილია სხვადასხვა გამოკითხვის საფუძველზე. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევები. მაგალითად, ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა და მათი კმაყოფილების კვლევა. კითხვები ეხება შემდეგ საკითხებს: სასწავლო კომპონენტით კმაყოფილება, სტუდენტის მიერ კომპეტენციების აღქმული მიღწევადობა, სწავლების მეთოდების ეფექტურობისა და სასწავლო ლიტერატურით კმაყოფილება, ასევე, სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიმართ და ა.შ. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვა ხორციელდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარებით და ტარდება 2 წელიწადში ერთხელ, დამსაქმებელთა

გამოკითხვა ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე აქტიურად იყო ჩართული პროგრამის განხორციელებისა და შეფასების პროცესში. მიღებული შედეგების საფუძველზე თვითშეფასების ჯგუფი აყალიბებს ცვლილებების პაკეტს საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის წარედგინება სკოლის საბჭოს. სკოლის საბჭოზე განხილვის და დამტკიცების შემდეგ, პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის შემთხვევაში, პროგრამა მტკიცდება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნივერსიტეტის სკოლების საბჭო ქმნის პროგრამების განვითარების საბჭოს. საბჭოს მუდმივი წევრები არიან კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი. საბჭოს მიზანია პროგრამის შედეგების კვლევა და ანალიზი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრები ხშირ შემთხვევაში არაფორმალური ფორმატით მიმდინარეობდა. ამასთან, არ არსებობს კონკრეტული სამოქმედო გეგმა პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამას გარდა, მეტი ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია თვითშეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების უშუალო ჩართულობის უზრუნველყოფა. დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან, სკოლასთან, რათა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იყვნენ დარგის სფეროს პროფესიონალები და კონკურენტუნარიანები შრომის ბაზარზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია; • პირადაპირი და არაპირდაპირი ხარისხის შეფასების ინსტრუქცია; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები უნდა ექვემდებარებოდეს პრინციპს - „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“. სასურველია ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე გაიწეროს კონკრეტული სამოქმედო გეგმა პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამის მონიტორინგი შესაძლებელია ეფექტიანად განხორციელდეს მაშინ, როდესაც არსებობს წინასწარ გაწერილი გეგმა და სამიზნე ნიშნულები. ეს უფრო სტრუქტურიზებულს გახდის პროგრამის მონიტორინგს, მის პერიოდულ შემოწმებას და შემდგომ განვითარებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენლების ჩართვა თვითშეფასების ჯგუფსა და პროგრამის განვითარების საბჭოში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 26

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მერაბ კაკულია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მაია ბარამიძე



ნინო ტალიკაძე